

**თჰუ**  
**სამართლის ფაკულტეტის სხდომის**

**ოქმი №8**

თბილისი

8 აგვისტო 2013 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. პროფ. კახი ყურაშვილი; 2. პროფ. თამარ ჩიტოშვილი; 3. პროფ. არჩილ ლორია; 4. პროფ. ლელა ნადიბაიძე; 5. ასოც. პროფ. დავით გეფერიძე; 6. ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე; 7. უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე; 8. უფრ. მასწ. მაია კოპალეიშვილი; 9. უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე; 10. უფრ. მასწ. მაია ივანიძე; 11. სტუდენტი ალექსანდრე გოჯიაშვილი; 12. სტუდენტი ლევან ბაღდადელაშვილი

**სხდომის თავმჯდომარე:** პროფესორი კახი ყურაშვილი

**სხდომის მდივანი:** ეთერ ირემაძე

**დღის წესრიგი:**

თჰუ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტის შალვა გულბათაშვილის შიდამობილობის წესით სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოსვლის საკითხი (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);

**მოისმინეს:**

თჰუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სტუდენტის შალვა გულბათაშვილს (ჩარიცხვის ბრძ. №94/05 25.09.2012) პირადი განცხადების საფუძველზე შიდამობილობის წესით სურს შეცვალოს სპეციალობა გადმოყვანილ იქნას სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე. შალვა გულბათაშვილის მიერ წარმოდგენილი სასწავლო ბარათის მიხედვით გაკეთდა შედარება სამართლის საბაკალავრო პროგრამასთან და მიზანშეწონილად ჩაითვალა დაუკრედიტდეს გავლილი სასწავლო დისციპლინები შემდეგნაირად.

№	სასწავლო კურსის დასახელება (ორივე პროგრამით)	სილაბუსით იდენტურობა (განსხვავებული სახელწოდებით)	სტატუსი	ECTS კრედიტი
1	თნამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები		სავალდებ.	5
2	აკადემიური წერა		სავალდებ.	5
3	ინგლისური ენა 1 / B 1.1./		სავალდ./არჩ	5
4	ინგლისური ენა 2 / B 1. 2/		სავალდ./არჩ	5
სულ				20

მომხსენებელმა საბჭოს წევრებს სთხოვა, რომ შალვა გულბათაშვილს უდიარონ 20 ECTS კრედიტი და დარეგისტრირებულ იქნას სამართლის საბაკალავრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტად.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორმა მ. ხვედელიძემ, პროფ. თ. ჩიტოშვილმა

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. შალვა გულბათაშვილი დარეგისტრირდეს თჰუ სამართლის ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის მეორე სემესტრის სტუდენტად 20 ECTS კრედიტის აღიარებით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

სხდომის მდივანი:



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე